საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2065-02
12/07/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე თეორიული ასტროფიზიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, რექტორის 2019 წლის 2 მაისის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე თეორიული ასტროფიზიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N1133-02 ბრძანების, რექტორის 2019 წლის 9 ივლისის 2020-02 ბრძანების და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 30 აპრილის N4 და 2019 წლის 8 ივლისის N7 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2019 წლის 12 ივლისს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე თეორიული ასტროფიზიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **თორიული ასტროფიზიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** არჩეული იქნას **ნინო ჩხეიძე.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი.

3.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი